გალტ & თაგარტი
ვქმნით შესაძლებლობებს

კაკლოვანი კულტურების ბაზარი საქართველოში

ივნისი 2024

ევა ბოჭორიშვილი
კვლევების დეპარტამენტის უფროსი

კახა სამყურაშვილი
სექტორული კვლევების უფროსი

დაჩი მუჯირიშვილი
ანალიტიკოსი

შინაარსი

თხილის, კაკლისა და ნუშის ბაზრების მიმოხილვა

- წარმოება და მოხმარება მსოფლიოში
- წარმოება და მოსავლიანობა საქართველოში
- საქართველოს საექსპორტო და საიმპორტო ბაზრები და ფასები
- ინვესტიციები

ძირითადი მიგნებები

თხილის ბაზარი. მსოფლიოში თხილის წარმოება მზარდია. ამასთან, თურქეთი უმსხვილესი მწარმოებელია და მისი წილი მსოფლიო თხილის წარმოების 71.0%-ია. საქართველო მე-6 ადგილზეა მსოფლიო თხილის წარმოების 2.5%-იანი წილით, რომელიც ქვეყნისთვის საექსპორტო პროდუქტია. ამასთან, თხილის უდიდეს ნაწილს ევროპის ქვეყნები მოიხმარენ შოკოლადის წარმოებისთვის.

საქართველოში თხილის ნარგავი ფართობი 70-72 ათასი ჰექტარია საქართველოს თხილის მწარმოებელთა ასოციაციის მიხედვით. აქედან, 44 ათასი ჰექტარი მცირე ზომის 3 ჰექტრამდე ბაღებს მოიცავს. აღსანიშნავია, რომ წარმოება საკმაოდ მერყევია, რაც მოსავლიანობის ცვალებადობას უკავშირდება.

თხილის მოსავლიანობა საქართველოში დაბალია - 0.62 ტონა/ჰექტარზე (ნაჭუჭიანი). ამ მაჩვენებლით საქართველო მკვეთრად ჩამორჩება თურქეთის (1.03), აზერბაიჯანის (1.40) და მსოფლიო საშუალო (1.13) მოსავლიანობას. მოსავლიანობის მსოფლიო საშუალომდე მომატების შემთხვევაში, საქართველოს აქვს წარმოების გაორმაგების პოტენციალი.

თხილის სექტორის ზრდისთვის საჭიროა საშრობების და გადამუშავების განვითარება, რადგან ხარისხის შემცირებას იწვევს არასწორი პოსტ-ჰარვესტი. ამის გამო ყოველწლიურად იმატებს თხილის საშრობებში ინვესტიციები, მათ შორის სამთავრობო პროგრამების ფარგლებში.

კაკლის ბაზარი. მსოფლიოში კაკლის წარმოება სტაბილურად მატულობს. წარმოების ზრდას ძირითადად ჩინეთი და აშშ განაპირობებენ, რომლებიც ერთად მსოფლიო წარმოების 79.1%-ს შეადგენენ. ჩინეთი უდიდეს მწარმოებელთან ერთად, ასევე უმსხვილესი მომხმარებელიცაა.

საქართველოში კაკალი დაახლოებით 4,500 ჰექტარზეა გაშენებული. აქედან, უმეტესი ნაწილი მთავრობის პროგრამის „დანერგე მომავლის“ ფარგლებშია გაშენებული და ძირითადად მცირე ზომის 15 ჰექტრამდე ბაღებს მოიცავს.

საქართველოში კაკლის წარმოება 2018 წლიდან მზარდია, რაც უკავშირდება 2014 წელს გაშენებული ბაღების მსხმოიარობაში შესვლას. კაკლის მოსავლიანობა ჰექტრაზე 1.96 ტონაა, რაც მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება მსოფლიო საშუალოს (3.10).

საქართველოში გაშენებული ჩანდლერის ბაღების მოსავლიანობის გაუმჯობესება წარმოების ზრდის პერსპექტივას იძლევა. ჩვენი შეფასებით, არსებული ნერგები 2030 წლისთვის დაახლოებით 5,600 ტონა კაკალს მოისხამს. კაკლის შენახვისთვის აუცილებელია საშრობები. არსებული საშრობები სრულიად საკმარისია ახლანდელი მოსავლისთვის, მაგრამ უკვე გაშენებული ბაღების სრულ მსხმიარობაში შესვლის გათვალისწინებით მომავალში მეტის საჭიროებაა.

კაკლის სექტორის განვითარებისთვის საჭიროა აგრონომიული ცოდნის ამაღლება, რასაც მთავრობა მხარს უჭერს უცხოელი სპეციალისტების ჩამოყვანით.

ნუშის ბაზარი. აშშ მსოფლიო ნუშის წარმოების ლიდერია 75.9%-იანი წილით. ამასთან, ნუშის მსოფლიო მოხმარების 21.0%-იც აშშ-ზე მოდის. საქართველოსთვის ნუშის წარმოება ახალი მიმართულებაა, რომლის წარმოებაც სტაბილურად იმატებს და ამას მიუყვება მოთხოვნაც. მთლიანობაში ნუში დაახლოებით 7,500 ჰექტარზეა გაშენებული, რაც ძირითადად მთავრობის მხარდაჭერით არის გაშენებული. ნუშის ნარგავი ფართობის ნახევარზე მეტს მცირე ზომის, 15 ჰექტრამდე ფართობის ბაღები მოიცავს. საქართველოში ნუშის მოსავლიანობა ჰექტარზე 0.52 ტონაა, რაც საკმაოდ ჩამოუვარდება მსოფლიო საშუალოს (1.54). არსებული ნარგავი ფართობი ჩვენი შეფასებით 2030 წლისთვის, დაახლოებით 4,900 ტონა ნუშის მოსავალის მიღების შესაძლებლობას იძლევა.

კაკლოვნების წარმოების დინამიკა საქართველოში

თხილის წარმოება
ნაჭუჭგაცლილი , მლნ კგ



კაკლის წარმოება
ნაჭუჭგაცლილი , მლნ კგ



ნუშის წარმოება
ნაჭუჭგაცლილი , მლნ კგ



თხილის წარმოება მერყეევია. თხილის საშუალო მოსავლიანობის არსებული 0.62-დან 1.0-მდე გაუმჯობესების შემთხვევაში მოსალოდნელია წარმოების ზრდა 25.2 მილიონ კილოგრამამდე 2030 წელს.

კაკლის ნარგავი ფართობის დიდი ნაწილი ჯერ სრულ მსხმოიარობაში არ არის შესული. არსებული ბაღების წარმოება მოსალოდნელია, რომ გაიზრდება 5.6 მილიონ კილოგრამამდე 2030 წელს.

ნუშის ნარგავი ფართობის დიდი ნაწილი ჯერ სრულ მსხმოიარობაში არ არის შესული. არსებული ბაღების წარმოება მოსალოდნელია, რომ გაიზრდება 4.9 მილიონ კილოგრამამდე 2030 წელს.

წყარო: საქსტატი, სოფლის განვითარების სააგენტო, გალტ & თაგარტი

კაკლოვანი კულტურების სექტორის ძირითადი მაჩვენებლები (ნაჭუჭგაცლილი)

	თხილი	კაკალი	ნუში
უმსხვილესი მწარმოებლები მსოფლიოში	თურქეთი	ჩინეთი	აშშ
მსოფლიო წარმოება	585 მლნ კგ	1,157 მლნ კგ	1,478 მლნ კგ
მსოფლიო ექსპორტი	299 მლნ კგ	538 მლნ კგ	1,123 მლნ კგ
წარმოება საქართველოში	13.1 მლნ კგ	3.2 მლნ კგ	1.3 მლნ კგ
თვითუზრუნველყოფა საქართველოში	>200%	57%	61%
„დანერგე მომავლის“ ფარგლებში გაშენებული ბაღები	1,019 ჰა	3,297 ჰა	4,302 ჰა
საშუალო გამოსავლიანობა საქართველოში	35%	45%	33%

წყარო: ITC, INC, საქსტატი, სოფლის განვითარების სააგენტო, გალტ & თაგარტი

შენიშვნა: ცხრილში მოცემულია უახლესი ხელმისაწვდომი მონაცემები, საერთაშორისო მონაცემები 2022 წელს შეესაბამება, ხოლო საქართველოს მონაცემები 2023 წელს



შინაარსი

თხილის ბაზარი

- წარმოება და მოხმარება მსოფლიოში
- წარმოება და მოსავლიანობა საქართველოში
- საქართველოს საგარეო ვაჭრობა და ფასი
- ინვესტიციები

წარმოება მსოფლიოში

თურქეთი თხილის უმსხვილესი მწარმოებელია

თხილის წარმოება მსოფლიოში (ნაჭუჭგაცლილი), მლნ კგ



თხილის წარმოება მსოფლიოში ქვეყნების მიხედვით (ნაჭუჭგაცლილი), 2022



მსოფლიოში თხილის წარმოება CAGR 6.6%-ით გაიზარდა 2016-22 წლებში და 585 მლნ კგ-ს მიაღწია 2022 წელს. ეს ზრდა ძირითადად განპირობებულია თურქეთში, აშშ-სა და სხვა ქვეყნებში წარმოების ზრდით. ამასთან, 2022 წელს წარმოება საგრძნობლად გაიზარდა ყველა ტოპ-მწარმოებელ ქვეყანაში. თურქეთი ლიდერია და მსოფლიოში თხილის 71.0%-ს აწარმოებს. საქართველო თხილის წარმოებაში მე-6 ადგილზეა მსოფლიო წარმოების 2.5%-იანი წილით.

წყარო: INC

შენიშვნა: თხილის წარმოების პერიოდები აღირიცხება აგვისტოდან ივლისამდე, მაგ. 2022 მიესადაგება პერიოდს 2022-აგვისტოდან 2023-ივლისამდე

მოხმარება მსოფლიოში

თხილის უდიდეს ნაწილს ევროპა მოიხმარს შოკოლადის წარმოებაში

თხილის მოხმარება მსოფლიოში ქვეყნების მიხედვით (ნაჭუჭგაცლილი), 2021



თხილის მოხმარება მსოფლიოში 1 სულ მოსახლეზე (ნაჭუჭგაცლილი), კგ, 2021



თხილის უდიდესი მომხმარებლები ძირითადად ევროპის ქვეყნები არიან; გერმანია, იტალია და საფრანგეთი ჯამურად 42.9%-ს მოიხმარენ. ეს უკავშირდება ევროპაში შოკოლადის წარმოებას, სადაც თხილი ერთ-ერთი უმთავრესი ინგრედიენტია.

წყარო: INC, გალტ & თაგარტი

შენიშვნა: არსებული ოფიციალური მონაცემები არ იძლევა საქართველოში მოხმარების სანდო შეფასების შესაძლებლობას შინამეურნეობების მაღალი წილის გამო, როგორც წარმოებაში ისე მოხმარებაში

თხილის მოხმარება მსოფლიოში 1 სულ მოსახლეზე სტაბილურია და საშუალოდ 0.08 კილოგრამია ყოველწლიურად. ამასთან, ქვეყნების მიხედვით ეს მაჩვენებელი არარელევანტურია, რადგან ბევრ ქვეყანაში მოხმარების მაღალი დონე შოკოლადის წარმოებაში თხილის გამოყენებას უკავშირდება.

ექსპორტი მსოფლიოში

თურქეთი თხილის უმსხვილესი ექსპორტიორია და ფასზე დიდი გავლენა აქვს

თხილის მსოფლიო ექსპორტი (მლრდ $) და ფასი ($/1კგ)



თხილის მსოფლიო ექსპორტი ქვეყნების მიხედვით, 2022



თხილის ექსპორტი მსოფლიოში მზარდი იყო 2017-21 წლებში, თუმცა 2022 წელს საგრძნობლად, წლიურად 25.1%-ით შემცირდა $1.8 მლრდ-მდე. ეს გამოწვეული იყო ფასის მკვეთრი ვარდნით, რაც მოთხოვნის შემცირებას უკავშირდებოდა. თხილის უდიდესი იმპორტიორია ევროპა. 2022 წელს ენერგო კრიზისმა და გაზრდილმა ინფლაციამ ნეგატიურად იმოქმედა როგორც წარმოებაზე, ისე მოთხოვნაზე. ასევე, თხილი და ნუში ნაწილობრივ შემცვლელები არიან და ნუშის ფასის კლებამაც შეიტანა წვლილი თხილის ფასის ვარდნაში.

წყარო: ITC

წარმოება საქართველოში

საქართველოში თხილის წარმოება არასტაბილურია

საქართველოში თხილის წარმოება (ნაჭუჭიანი), მლნ კგ



საქართველოში ძირითადად თხილის ჯიში - „ანაკლიური" იწარმოება. ამასთან, წარმოება საკმაოდ მერყეევია; 2018 წლამდე ვარდნა ფაროსანას უკავშირდება, ხოლო 2022-23 წლებში წამოების ვარდნა ასახავს მომატებულ ნალექს და სხვა არახელსაყრელ გარემოებებს.

წყარო: საქსტატი, გალტ & თაგარტი, საქართველოს თხილის მწარმოებელთა ასოციაცია

შენიშვნა: 2023 წლის წარმოების შეფასება გაკეთებულია აგვისტო-აპრილის მონაცემებით

ნარგავი ფართობი

საქართველოში თხილის ნარგავი ფართობი 45 ათასამდე ჰექტარია ოფიციალურ კადასტრით, ხოლო „საქართველოს თხილის მწარმოებელთა ასოციაციის" მიხედვით, 70-72 ათას ჰექტრამდეა გაშენებული.

მწარმოებლები

საქართველოს თხილის სექტორში არის ძალიან მაღალი ფრაგმენტაცია:

- თხილის ბაღების დიდი ნაწილი მცირე ზომისაა
- 65,000 მოსახლის მფლობელობაშია დაახლოებით 44,000 ჰექტარი, აქედან 31,000 მწარმოებელი საშუალოდ 0.2-0.5 ჰექტარს ფლობს.

მოსავლიანობა საქართველოში

საქართველოში თხილის მოსავლიანობა დაბალია

თხილის მოსავლიანობა (ნაჭუჭიანი), ტონა ჰექტარზე, 2022



საქართველოში თხილის მოსავლიანობა დაბალია - 0.62 ტონა/ჰექტარზე (ნაჭუჭიანი). ამ მაჩვენებლით საქართველო მკვეთრად ჩამორჩება თურქეთს (1.03), აზერბაიჯანს (1.40) და მსოფლიო საშუალოს (1.13). მოსავლიანობის მსოფლიო საშუალომდე მომატების შემთხვევაში, საქართველოს აქვს წარმოების გაორმაგების პოტენციალი.

წყარო: FAO, გალტ & თაგარტი, საქართველოს თხილის მწარმოებელთა ასოციაცია

- 2022 წელს დაბალი მოსავალი უკავშირდება მომატებულ ნალექს მოსავლის მოკრეფის პერიოდში. აღნიშნულის შედეგად, თხილში იმატებს წყლის შემცველობა, რაც შემდგომში პროდუქტს აფუჭებს.
- დაბალი მოსავლიანობის კიდევ ერთი მიზეზი ნერგების არასწორი მოვლა და სასუქის არ გამოყენებაა. სასუქებს უდიდესი გავლენა აქვს წარმოების მოცულობაზე და ხარისხზე, შეწამვლა კი ფაროსანის ეფექტის უარყოფით ზეგავლენას ამცირებს.
- ასევე, აღსანიშნავია თხილის წარმოების ფრაგმენტაცია, რაც წარმოებისთვის კაპიტალის ნაკლებობას განაპირობებს.

საქართველოს საექსპორტო ბაზრები

საქართველოს მთავარი საექსპორტო ბაზარი ევროპის ქვეყნებია

ქართული თხილის ექსპორტი (მლნ $) და ფასი ($/1კგ)



ქართული თხილის ექსპორტი ქვეყნების მიხედვით, 2023



ქართული თხილი საექსპორტო პროდუქტია. ექსპორტის წლიური დინამიკა დაგვიანებით მიუყვება წარმოებას, რადგან მოსავალი იკრიფება აგვისტოში და შემდეგი წლის აგვისტომდე ექსპორტირდება. 2023 წელს ექსპორტი შემცირდა წინა წლის მცირე მოსავლის შედეგად. ამასთან, ექსპორტის საშუალო ფასი 2023 წელს გაიზარდა (სექტემბრიდან დეკემბრამდე), რაც თურქეთის 2023 წლის აგვისტოში მოსავლის კლებით გამოწვეულ მსოფლიო ფასის მატებას უკავშირდება. ქართული თხილის ფასი მსოფლიო საშუალო ფასებს ჩამორჩება დაბალი ხარისხის გამო. 2023 წელს თხილის ექსპორტის 56.9% ევროპაში გავიდა.

წყარო: საქსტატი

ექსპორტის ხარისხი

ქართული თხილის ექსპორტის ხარისხს აუარესებს არაეფექტური მიწოდების ჯაჭვი

ევროკავშირიდან გამობრუნებული ქართული თხილის პარტიების რაოდენობა





ევროკავშირს აქვს მკაცრი უსაფრთხოების ნორმები სასურსათო საქონელზე. ქართულ თხილს აქვს მნიშვნელოვანი ხარვეზები ამ საკითხში, ნორმაზე მაღალი აფლატოქსინების შედეგად. ეს უკავშირდება ნერგების არასწორ მოვლას და არაეფექტურ მიწოდების ჯაჭვს. თხილის სექტორში ფრაგმენტირებულია როგორც წარმოება, ისე შენახვა. მწარმოებელი პროდუქტს აძლევს ინდივიდუალურ შემგროვებელს, რომელიც არალაბორატორიულად აფასებს მის პროდუქტს. შემდეგ შემგროვებელი თხილს აწვდის ინდივიდუალურ გადამამუშავებელს, რომელიც სარდაფის ტიპის საწყობებში ინახავს პროდუქტს და ჰიგიენური წესების დარღვევით ამუშავებს, რაც იწვევს სხვადასხვა პრობლემას, მათ შორის ჭარბ აფლატოქსინებს.

წყარო: RASFF, საქართველოს თხილის მწარმოებელთა ასოციაცია

საექსპორტო და ადგილობრივი ფასები

ევროპაში თხილი სხვა ქვეყნებთან შედარებით უფრო მაღალ ფასად იყიდება

ქართული ნაჭუჭგაცლილი თხილის საექსპორტო ფასები, $/1კგ



ქართული ნაჭუჭიანი თხილის ფასები ფერმის კართან, $/1კგ



საქართველოდან თხილის ექსპორტის ნახევარი ევროკავშირში გადის. ამასთან, ევროკავშირში გატანილი თხილის ფასი საშუალოდ 6.2%-ით უფრო მაღალია, ვიდრე სხვა ბაზრებზე. ევროკავშირის მიმართულებით თხილის ექსპორტის ზრდისთვის აუცილებელია სტაბილურად მაღალი ხარისხი, რომელიც კიდევ უფრო მაღალ საექსპორტო შემოსავლებს დააგენერირებს. ზოგადად, თხილის ფასს სხვადასხვა ბაზარზე განაპირობებს მისი საბოლოო დანიშნულება - უფრო მაღალი ფასი აქვს საცალო პროდუქტს, ვიდრე საწარმოო ინგრედიენტად შესყიდვის შემთხვევაში (მაგალითად შოკოლოდის წარმოებისთვის).

წყარო: საქსტატი

დარგში ინვესტიციები

თხილის სექტორში საჭიროა საშრობების ინფრასტრუქტურა

თხილში ინვესტიციები „დანერგე მომავლის“ ფარგლებში, მლნ ლარი



„დანერგე მომავლის“ ფარგლებში დაფინანსებული თხილის საშრობები



თხილის სექტორის განვითარებისთვის საჭიროა დასაწყობების და გადამუშავების განვითარება, რადგან ხარისხის შემცირებას იწვევს არასწორი პოსტ-ჰარვესტი. ამის გამო, ყოველწლიურად იმატებს თხილის საშრობებში ინვესტიციები. 2023 წელს სახელმწიფო პროგრამის „დანერგე მომავლის“ ფარგლებში 8,256 ტონის ტევადობის საშრობების და 8 გადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობა დაფინანსდა. წარმოებას რაც შეეხება, 3 ჰექტრამდე თხილის ფართობების მფლობელებმა სახელმწიფოსგან 2023 წელს 1 ჰექტარზე 500 ლარის ოდენობის დახმარება მიიღეს მოვლა-მოყვანისთვის საჭირო საქონლისთვის, რამაც მთლიანობაში 20.9 მილიონ ლარიანი სუბსიდია შეადგინა. სახელმწიფო ამ პროგრამას 2024 წელსაც აგრძელებს 20 მილიონ ლარიანი ბიუჯეტით.

წყარო: სოფლის განვითარების სააგენტო

შენიშვნა: თხილის საშრობები კაკლის შენახვისთვისაც გამოდგება

კაკლის ბაზარი

- წარმოება და მოხმარება მსოფლიოში
- წარმოება და მოსავლიანობა საქართველოში
- საქართველოს საგარეო ვაჭრობა და ფასი
- ინვესტიციები

წარმოება მსოფლიოში

კაკლის უმსხვილესი მწარმოებლები ჩინეთი და აშშ არიან

კაკლის წარმოება (ნაჭუჭგაცლილი) მსოფლიოში, მლნ კგ



კაკლის წარმოება მსოფლიოში ქვეყნების მიხედვით (ნაჭუჭგაცლილი), 2022



მსოფლიოში კაკლის წარმოება სტაბილურად იმატებს და 2022 წელს 1,157 მლნ კგ შეადგინა. წარმოების ზრდა ძირითადად მოდის ჩინეთსა და აშშ-ზე. ჩინეთში წარმოების მატება ნარგავი ფართობის მატებასა და ნერგების სრულ-მსხმოიარობაში შესვლას უკავშირდება. აშშ და ჩინეთი ერთად მსოფლიო წარმოების 79.1%-ს შეადგენენ.

წყარო: INC, გალტ & თაგარტი

შენიშვნა: კაკლის წარმოების პერიოდები აღირიცხება ოქტომბრიდან სექტემბრამდე, მაგ. 2022 მიესადაგება პერიოდს 2022-ოქტომბრიდან 2023-სექტემბრამდე

მოხმარება მსოფლიოში

ჩინეთი და აშშ არიან კაკლის უმსხვილესი მომხმარებლები

კაკლის მოხმარება მსოფლიოში ქვეყნების მიხედვით (ნაჭუჭგაცლილი), 2021



კაკლის მოხმარება მსოფლიოში 1 სულ მოსახლეზე ქვეყნების მიხედვით (ნაჭუჭგაცლილი), კგ, 2021



ჩინეთი უდიდეს მწარმოებელთან ერთად, ასევე უმსხვილესი მომხმარებელიცაა. მისი წარმოების უდიდესი ნაწილი ადგილობრივ ბაზარზეა გათვლილი. ამისგან განსხვავებით, აშშ-ს თავისი წარმოების უდიდესი ნაწილი საექსპორტოდ გააქვს.

წყარო: INC, გალტ & თაგარტი

საქართველო 1 სულ მოსახლეზე 1.04 კგ კაკალს მოიხმარს და ამ მაჩვენებლით პირველ ადგილზეა მსოფლიოში, რაც საშუალოზე 8-ჯერ უფრო მაღალია. ეს გამოწვეულია საქართველოს კულინარიით, ვინაიდან ნიგოზი ბევრი საკვები პროდუქტის ინგრედიენტად გამოიყენება.

ექსპორტი მსოფლიოში

აშშ, მექსიკა, ჩილე და ჩინეთი კაკლის უმსხვილესი ექსპორტიორები არიან

კაკლის მსოფლიო ექსპორტი (მლრდ $) და ფასი ($/1კგ)



კაკლის მსოფლიო ექსპორტი ქვეყნების მიხედვით, $, 2022



კაკლის ექსპორტი ხორცილედება როგორც ნაჭუჭგაცლილად, ასევე ნაჭუჭიანად. მსოფლიო კაკლის ექსპორტის ღირებულება სტაბილური იყო 2017-22 წლებში, თუმცა მოცულობაში გაზრდილია (24.7%-ით ნაჭუჭგაცლილი, 21.6%-ით ნაჭუჭიანი). ფასის ვარდნა როგორც კაკლის, ასევე სხვა კაკლოვნების წარმოების ზრდას უკავშირდება. კაკლის უმსხვილესი ექსპორტიორი აშშ და მექსიკაა, ჯამურად 53.6%-იანი წილით. ჩინური კაკალი შედარებით დაბალი ხარისხისაა. კაკლის უდიდესი იმპორტიორები არიან გერმანია (13.7%), გაერთიანებული საემიროები (8.7%), თურქეთი (7.5%), იტალია (5.5%) და მექსიკა (5.0%).

წყარო: ITC

მოხმარება საქართველოში

საქართველო კაკლის წმინდა იმპორტიორია

საქართველოში კაკლის წარმოება, იმპორტი, ექსპორტი (ნაჭუჭგაცლილი), მლნ კგ



საქართველოში კაკლის მოხმარება და თვითუზრუნველყოფა (ნაჭუჭგაცლილი), მლნ კგ



საქართველოში კაკლის წარმოება შემცირდა 2016-17 წლებში ფაროსანის შემოსევის გამო. 2018 წლიდან წარმოება მზარდია, რაც უკავშირდება 2014 წელს დაწყებული სახელმწიფო პროგრამით დაფინანსებული ნერგების მსხმოიარობაში შესვლას. წარმოების მატებასთან ერთად გაიზარდა ადგილობრივი მოხმარებაც. 2020-21 წლებში მოხმარება შემცირდა კოვიდთან დაკავშირებული ფაქტორების გამო. 2022-23 წლებში მოხმარება მკვეთრად არის გაზრდილი, რაც მაღალ ეკონომიკურ აქტივობას უკავშირდება. შესაბამისად, გაზრდილი მოთხოვნის და შემცირებული წარმოების შედეგად კაკლის თვითუზრუნველყოფა (56.6%) გაუარესდა 2023 წელს.

წყარო: საქსტატი, გალტ & თაგარტი

წარმოება და ფასები საქართველოში

საქართველოში კაკლის წარმოება მოსალოდნელზე ნელი ტემპით იზრდება

საქართველოში კაკლის წარმოება (ნაჭუჭგაცლილი), მლნ კგ



საქართველოში კაკლის ფასები ფერმის კართან და საცალოდ, ლარი/1კგ



კაკლის წარმოება საქართველოში დინამიკაში მზარდია, თუმცა ახასიათებს წლიური მერყეობა. ამასთან, წარმოება საგრძნობლად ჩამოუვარდება სექტორის მოლოდინებს. მაღალი მოლოდინები ემყარებოდა კაკლის ახალი ხარისხიანი ჯიშის, ჩანდლერის გაშენებას. თუმცა, ცოდნის ნაკლებობამ არაეფექტური წარმოება გამოიწვია - მწარმოებლებმა ნერგები არასწორ დროს, არასწორ პირობებში დარგეს და სათანადოდ ვერ მოუარეს. მოთხოვნამ გაუსწრო რეალურ წარმოებას და 2022-23 წლებში კაკლის ფასი ფერმის კართან საგრძნობლად გაიზარდა.

წყარო: საქსტატი, გალტ & თაგარტი

მოსავლიანობა საქართველოში

საქართველოს დაბალი მოსავლიანობა ნაწილობრივ განპირობებულია იმით, რომ გაშენებული ბაღები არ არის სრულ მსხმოიარობაში

კაკლის მოსავლიანობა (ნაჭუჭიანი), ტონა ჰექტარზე, 2022



საქართველოში კაკლის ნარგავი ფართობი, ჰექტარი



საქართველოში ჩანდლერის ბაღები ძირითადად 2015 წელს დაწყებული სახელმწიფო დაფინანსებით არის გაშენებული. ჩანდლერი მსხმოიარობაში მე-4 წლიდან შედის და ნორმალიზდება მერვე წელს. სათანადოდ მოვლის შემთხვევაში ჩანდლერი 5-7 ტონამდე მოსავალს იძლევა ჰექტარზე, კარგი მოვლის შემთხვევაში 8-10 ტონამდე და ცუდი მოვლის შემთხვევაში 2-3 ტონას. ამასთან, გაშენებული ნერგების უმეტესობა სრულ მსხმოიარობაში არ არის შესული. აღსანიშნავია, რომ კაკლის ბაღების გაშენება შენელდა 2021 წლიდან.

წყარო: FAO, სოფლის განვითარების სააგენტო, გალტ & თაგარტი

იმპორტი საქართველოში

საქართველოს კაკლით ძირითადად უკრაინა, ყირგიზეთი, უზბეკეთი და ჩინეთი ამარაგებს

კაკლის იმპორტი (მლნ $) და ფასი ($/1კგ)



კაკლის იმპორტი ქვეყნების მიხედვით, $, 2023



საქართველოში კაკლის იმპორტის მაღალი ცვალებადობა გამოწვეულია მოთხოვნის ცვალებადობით. იმპორტი ადგილობრივ წარმოებას ხელს არ უშლის, რადგან ქართული კაკალი მთლიანად ადგილობრივად რეალიზდება.

წყარო: საქსტატი

საქართველოში კაკლის იმპორტის 88.7% არის უკრაინიდან, ყირგიზეთიდან, უზბეკეთიდან და ჩინეთიდან. იმპორტირებული კაკალი ბაზარზე უხარისხოდ მიიჩნევა. ჩინური კაკალი საგრძნობლად გაიაფებულია ჩინეთში გაზრდილი წარმოების გამო.

დარგში ინვესტიციები

ახალი ნერგების გაშენება თითქმის შეწყდა 2023 წელს

„დანერგე მომავლის“ ფარგლებში გაშენებული კაკლის ფართობი



„დანერგე მომავლის“ ფარგლებში გაშენებული კაკლის ფართობი რეგიონების მიხედვით, ჰექტარი, 2015-23



პროგრამით „დანერგე მომავალი“ ჩანდლერის ნერგების გაშენება, რომელიც 2015 წლიდან დაიწყო, 2023 წელს ფაქტობრივად შეწყდა. ამასთან, სახელმწიფო თანადაფინანსებით კაკალი ყველაზე დიდი ფართობით გაშენებულია კახეთში, ხოლო კერძო ინვესტიციებით აჭარაში. კაკლის სწორი მოვლა და პოსტ-ჰარვესტ ზომები მნიშვნელოვანია. ამიტომ, სახელმწიფო დაფინანსებით ხდება ასევე აშშ-დან აგრონომების ჩამოყვანა და ცოდნის გაზიარება. კაკლის ხარისხს აფუჭებს არასწორი შენახვა, რაც საშრობების საჭიროებას განაპირობებს. არსებული საშრობები სრულიად საკმარისია ახლანდელი მოსავლისთვის, მაგრამ მომავალში მეტის საჭიროება იქნება.

წყარო: სოფლის განვითარების სააგენტო, გალტ & თაგარტი

ნუშის ბაზარი

- წარმოება და მოხმარება მსოფლიოში
- წარმოება და მოსავლიანობა საქართველოში
- საქართველოს საგარეო ვაჭრობა და ფასი
- ინვესტიციები

წარმოება მსოფლიოში

აშშ ნუშის უმსხვილესი მწარმოებელია

ნუშის წარმოება (ნაჭუჭგაცლილი), მლნ კგ



ნუშის წარმოება (ნაჭუჭგაცლილი), 2022



მსოფლიო ნუშის წარმოება იზრდებოდა 2016-20 წლებში, ძირითადად აშშ-ს წარმოების მატებით, რომელიც შემდგომში შემცირდა. ეს კლება უკავშირდება ცუდ კლიმატს და ნარგავი ფართობის კლებას. აშშ-ს მსოფლიო ნუშის წარმოების 75.9% მოჰყავს. ეს წარმოება ძირითადად კალიფორნიის შტატშია, სადაც წყლის მნიშვნელოვანი ნაკლებობაა. ნერგები საჭიროებს ირიგაციას, რაც მაღალ ხარჯებს უკავშირდება. ნუშის ფასის კლების გამო მწარმოებლებს აღარ უღირთ წარმოება და ნარგავმა ფართობმა იკლო.

წყარო: INC, გალტ & თაგარტი

შენიშვნა: ნუშის წარმოების პერიოდები აღირიცხება სექტემბრიდან აგვისტომდე, მაგ. 2022 მიესადაგება პერიოდს 2022-სექტემბრიდან 2023-აგვისტომდე

მოხმარება მსოფლიოში

აშშ და ინდოეთი არიან ნუშის უმსხვილესი მომხმარებლები

ნუშის მოხმარება (ნაჭუჭგაცლილი), 2021



ნუშის მსოფლიო მოხმარების 21.0% აშშ-ზე მოდის. აშშ-ს წარმოების დიდი ნაწილი ადგილობრივ ბაზარზეა გათვლილი.

ნუშის მოხმარება 1 სულ მოსახლეზე (ნაჭუჭგაცლილი), კგ, 2021



განვითარებულ ქვეყნებში 1 სულ მოსახლეზე ნუშის მოხმარება ყველაზე მაღალია.

წყარო: INC, საქსტატი, სოფლის განვითარების სააგენტო, გალტ & თაგარტი

ექსპორტი მსოფლიოში

აშშ ნუშის უმსხვილესი ექსპორტიორია

ნუშის მსოფლიო ექსპორტი (მლრდ $) და ფასი ($/1კგ)



ნუშის მსოფლიო ექსპორტი ქვეყნების მიხედვით, $, 2022



მსოფლიოში ნუშის ექსპორტის ღირებულება 2017-22 წლებში სტაბილურია, მაგრამ რაოდენობრივად ექსპორტი გაზრდილია. 2017 წელთან შედარებით, ნაჭუჭიანი ნუშის საექსპორტო ფასი საგრძნობლადაა დაკლებული, 22.0%-ით, რაც გამოწვეულია ჭარბი მიწოდებით. აღნიშნული გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ ნუშის ნერგების სრულ მსხმოიარობაში შესვლის პერიოდი 6-8 წელია. ნუშის ნარგავი ფართობი 2011-22-ში თითქმის გაორმაგდა. როდესაც ნარგავი ფართობის დიდი ნაწილი სრულ მსხმოიარობაში შევიდა, მიწოდებამ მოთხოვნას გაასწრო.

წყარო: ITC, USDA

მოხმარება საქართველოში

საქართველო ნუშის წმინდა იმპორტიორია

ნუშის წარმოება, იმპორტი, ექსპორტი (ნაჭუჭგაცლილი), მლნ კგ



ნუშის მოხმარება და თვითუზრუნველყოფა (ნაჭუჭგაცლილი), მლნ კგ



საქართველოში სტაბილურად იმატებს ნუშის წარმოება და ამასვე მიუყვება მოთხოვნა. ამასთან, მოხმარების 61%-ს ადგილობრივი წარმოება აკმაყოფილებს. გარდა ამისა, საქართველო ასევე ნუშის ექსპორტს ახორციელებს, რომლის 90%-ზე მეტი რე-ექსპორტია.

წყარო: საქსტატი, გალტ & თაგარტი

წარმოება საქართველოში

საქართველოში ნუშის წარმოება ახალია და სწრაფად იზრდება

საქართველოში ნუშის წარმოება (ნაჭუჭგაცლილი), მლნ კგ



ნუში საქართველოსთვის ახალი პროდუქტია. პროდუქტის წარმოება ქვეყანაში გავრცელდა სახელმწიფო დაფინანსების შედეგად. არსებული ნარგავი ფართობი, ჩვენი შეფასებით, 2030 წლისთვის, დაახლოებით 4,800 ტონა ნაჭუჭგაცლილი ნუშის მოსავალის მიღების შესაძლებლობას აჩენს.

წყარო: სოფლის განვითარების სააგენტო, გალტ & თაგარტი

ნარგავი ფართობი

მთლიანობაში ნუშის დაახლოებით 7,500 ჰექტარია გაშენებული. ნუშის ნარგავი ფართობის ნახევარზე მეტს, 4,302 ჰექტარს მცირე ზომის, 15 ჰექტრამდე ფართობის ბაღები მოიცავს. ამ ნერგებს ძირითადად სახელმწიფო აფინანსებს. გაშენებული ბაღები ძირითადად არის ინტენსიური სახის.
ნუშის ბაზარზე უდიდესი მოთამაშეები არიან კომპანია „უდაბნო" 2,300 ჰექტრით და „ნათს ინქორფორეითიდი" 800 ჰექტრით.

მოსავლიანობა

2023 წლისთვის საქართველოში ნუშის საშუალო **ნაჭუჭიანი** მოსავლიანობა ჰექტარზე 0.52 ტონა იყო. შესადარისად, 2022 წელს მსოფლიოში ნუშის საშუალო მოსავლიანობა იყო 1.54 ტონა ჰექტარზე. საქართველოს დაბალი მოსავლიანობა უკავშირდება იმ ფაქტს, რომ ნერგების უმრავლესობა ახალია და ჯერ არ შესულა სრულ მსხმოიარობაში. ჩვენი შეფასებით, საქართველოში ნუშის ბაღების სრულ მსხმოიარობაში შესვლისას ქვეყნის საშუალო მოსავლიანობა დაახლოებით 2 ტონა ჰექტარზე გახდება. ამასთან, საქართველოში ნუშის მოსავლიანობა ჰექტარზე 0.5-5.0 ტონამდე მერყეობს, რაც დამოკიდებულია მოვლაზე, კლიმატზე და მრავალ სხვა ფაქტორზე.

იმპორტი საქართველოში

საქართველოს ნუში ძირითადად აშშ-დან შემოაქვს

ნუშის იმპორტი (მლნ $) და ფასი ($/1კგ)



ნუშის იმპორტი სტაბილურად იზრდება. იმპორტირებული ნუშის უმეტესობა ნაჭუჭგაცლილია. საქართველოში ნუშის საიმპორტო ფასები იკლებს, რაც მიუყვება საერთაშორისო ტრენდებს.

ნუშის იმპორტი ქვეყნების მიხედვით, $, 2023



საქართველოს ნუშის იმპორტის 83.2%-ს აშშ-დან შემოდის.

წყარო: საქსტატი

ექსპორტი საქართველოდან

საქართველო ნუშის რე-ექსპორტს ძირითადად ყაზახზეთში ახორციელებს

ნუშის ექსპორტი (მლნ $) და ფასი ($/1კგ)



ნუშის ექსპორტი ქვეყნების მიხედვით, $, 2023



ნუშის ექსპორტის მატება მიუყვება იმპორტის მატებას, რადგან ექსპორტის 90%-ზე მეტი რე-ექსპორტია.

საქართველოს ნუშის ექსპორტის 83.2% ყაზახეთში, სომხეთში და უზბეკეთში გააქვს.

წყარო: საქსტატი

დარგში ინვესტიციები

ნუშის ბაღები ძირითადად ქართლ-კახეთში შენდება

„დანერგე მომავლის“ ფარგლებში გაშენებული ნუშის ფართობი



„დანერგე მომავლის“ ფარგლებში გაშენებული ნუშის ფართობი რეგიონების მიხედვით, ჰექტარი, 2015-23



საქართველოში ნუშის ახალი ბაღების გაშენება კლებულობს. სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ნერგების 96.2% გაშენებულია ქართლსა და კახეთში. მოსავლიანობა საშუალოდ 0.5-5 ტონამდეა და სრული მსხმოიარობის პერიოდი ტრადიციული ბაღისთვის - 8 წელია, ინტენსიურისთვის - 7 წელი, სუპერ-ინტენსიურისთვის - 6 წელი.

წყარო: სოფლის განვითარების სააგენტო, გალტ & თაგარტი

კვლევების დეპარტამენტის უფროსი

ევა ბოჭორიშვილი

evabochorishvili@gt.ge

სექტორული კვლევების უფროსი

კახა სამყურაშვილი

ksamkurashvili@gt.ge

ანალიტიკოსი

დაჩი მუჯირიშვილი

dmujirishvili@gt.ge

მისამართი:
ალექსანდრე პუშკინის ქუჩა 3, თბილისი, 0105, საქართველო

ტელ: + (995) 32 2401 111

ელ. ფოსტა: research@gt.ge

მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტის" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

Galt & Taggart-ის ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, Galt & Taggart-ის მხრიდან. Galt & Taggart-ი პასუხისმგებლობას არ იღებს ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე. ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი.

ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და Galt & Taggart-ს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. Galt & Taggart-ის მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ Galt & Taggart-ის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია.00